

ნოტა ბენე

NOTA BENE - ლათინურად „შენიშნე კარგად!“

№ 5
აპრილი,
2010 წელი

ნომრის გამოცემის
ფინანსური მხარდაჭერა
ინდივიდუალური მხარე
„პასილ ბუნიბაიშვილი“
მარაბი და პურის საცხობი
ბურიის ქაჩა 17

ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის გამოცემა

ვისთვის და რისთვის გამოდის „ნოტა ბენე“?

„სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს“ საქმიანობიდან გამომდინარე, წირი შეხება გვაქვს რეგიონის, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებ მოსწავლე-ახალგაზრდებთან. მათგან სულ გვემის, რომ იმყოფებიან ინფორმაციის ვაკუუმში, შესაძლებლობები არა აქვთ, რომ საკუთარი ნიჭი, ცოდნა და უნარი ეფექტურად გამოიყენონ თვითრეალიზაციისათვის. ჩვენ არ ვგულისხმობთ სკოლას და სკოლის შემდეგ სწავლის გაგრძელების საშუალებებს - „ერთიანი ეროვნული გამოცდები“ იძლევა იმის გარანტიას, რომ თუკი მოსწავლე სკოლაში ისწავლის, მას ეს არ დაეკარგება.

ჩვენ ვიგულისხმებთ მოსწავლე-ახალგაზრდების საზოგადოებრივი აქტივობა, ზუსტად ის, რომ ახალგაზრდა, გარდა წარმატებით სწავლისა, უნდა იყოს საზოგადოებრივი აქტიური მონაწილეობას იღებდეს თავისი თემის, საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში; ძალიან გაგვიხარდა, რომ ჩვენს მიწა ჩატარებული „ახალგაზრდა ლიდერთა პროგრამის“ ერთ-ერთი გამარჯვებულის იდეა იყო სასკოლო გახეთის გამოცემა, რომელიც ერთი მხრივ იქნებოდა ინფორმაციის წყარო, მეორეს მხრივ კი ერთგვარი „ტრიბუნა“ მოსწავლეებისათვის.

ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალების გამოცემით და რაც მთავარია, ჯრესატამდე მისი მიტანი (ამ ეტაპზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებთან) გვინდოდა აღმოგვეჩვენა ინფორმაციული ვაკუუმი, რომელშიც ახალგაზრდები იმყოფებიან.

როცა დავიწყეთ ფიქრი გახეთის გამოცემაზე (თავიდან უსახელო იყო - „ნოტა ბენე“ შემდეგ დავარქვით) გამოცემაზე, პირველი ეტაპისთვის ის შევქმენით, რომ უცხოელი მოხალისის დახმარებით მცირე მასშტაბის ტრენინგ-კურსი ჩავატარებინა გახეთის გუნდისათვის, რაღაც მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობა გადავეცით და გახეთის აწყობა-დაკაბადონებაზეც ჩვენ ვზრუნავთ. თავად გახეთის გამოშვების ხარჯებიც დავფარეთ ორგანიზაციის შიგარესურსით (ოთხი ნომრის გამოცემა დავაფინანსეთ და თითო ნომრის 3000 ტირაჟიანი გამოცემა საკმაოდ სოლიდური თანხა დაგვიჯდა). არ გვინდა იფიქროთ, რომ ჩვენ ვწუწუნებთ, არა! - გვიხარია, როცა ვიგებთ, რომ ჩვენს გახეთში წაკითხული ინფორმაციის გამოყენებით, მაგალითად, ვაკიჯერის საჯარო სკოლის მე - II კლასელი - ლიკა ჯინჭარაძე გახდა BP ნახატების კონკურსის გამარჯვებული (ისე, ამის შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში უზუსტობა გაიპარა - გახეთი „ნოტა ბენე“ არ არის

ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის გამოცემა), მოხარული ვართ იმითაც, რომ საერთაშორისო კონკურსის „ალიანტე 2010“ მეორე ეტაპზე ოზურგეთიდან 4 გუნდი გადავიდა - ჩვენ დავეხმარეთ ამ მოსწავლეებს დამატებითი ინფორმაციის მოპოვებაში. მაგრამ ძალიან სამწუხაროა ის გარემოება, რომ მაგალითდ მიუხედავად წინა ნომერში გამოქვეყნებული ინფორმაციისა 5 კონკურსის შესახებ - რომელიც აბსოლუტურად ხელმისაწვდომი იყო მოსწავლეებისათვის, არცერთმა მათგანმა არ გამოთქვა სურვილი, მათში მონაწილეობა მიეღო.

ამასთანავე, ჩვენი ორგანიზაცია მზად არის დაეხმაროს ყველა დაინტერესებულ ახალგაზრდას გახეთში გამოყვეყნებული ინფორმაციის გამოყენებაში, რაშიც იგულისხმება ის, რომ თუკი გამოქვეყნებულია საკონკურსო განაცხადები, უფრო ვრცელი ინფორმაცია მიაწოდოს ამის შესახებ და გაუწიოს კონსულტაციები. ამ ეტაპზე, უბრალოდ, არ გაგვანია საკმარისი ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომ ყველა სკოლის ყველა მოსწავლეს ჩაეუტაროთ რაიმე სახის ტრენინგები, უბრალოდ, ეს მზავრობის და საკანცელარიო მასალის ხარჯების გაწვევას მაინც საჭიროებს, სხვათა შორის თავი დავანებოთ. მაგრამ თუკი რომელიმე სკოლა ან ახალგაზრდების გუნდი გამოთქვამს ამის სურვილს, ჩვენ მათთვის შევვიძლია მცირე ტრენინგ კურსიც ჩავატაროთ საპროექტო მენეჯმენტზე და თანხების მოძიებაზე, უბრალოდ, ჩვენი ცოდნა და გამოცდილება გადავცეთ.

როგორც აღვნიშნეთ, გახეთის გამოცემა ამდენ ხანს ორგანიზაციის ხარჯზე ფინანსდებოდა, სამწუხაროდ ჩვენ ამოგვეწურა ეს რესურსი და უკვე კეთილი ადამიანების იმედზე რჩება ეს მნიშვნელოვანი საქმე.

პრეცედენტი უკვე შეიქმნა - ეს ნომერი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლის მიერ არის დაფინანსებული. ვიმედოვნებთ, რომ მას სხვებიც გამოეხმარება და გახეთის გამოცემა არ შეწყდება. რაც შეეხება დაფინანსების პირობებს, ის შეგიძლიათ მეორე გვერდზე იხილით, სოლო „სტუდენტურ-ახალგაზრდულ სათათბიროს“ რაც შეეხება, ის კვლავაც გააგრძელებს გახეთის მხარდაჭერას და შევეცდებით, რომ დამატებითი სახსრები ვიპოვოთ, რომ „ნოტა ბენეს“ გამოცემა არა თუ შეწყდეს, არამედ მრავალფეროვანი, მეტი მოცულობის და ტირაჟის მქონე გახედს - ბავშვებს სჭირდებათ საკუთარი ტრიბუნა.

„სტუდენტურ-ახალგაზრდულ სათათბიროს“ გუნდი



მარაბი და პურის საცხობი
- პროდუქციის ფართო ასორტიმენტი (ტყბილუული, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები, პურ-ფუნთუშეული. თამბაქოს ნაწარმი, საოჯახო ქიმია, ჰიგიენური საშუალებები);
- მხოლოდ სერტიფიცირებული პროდუქცია;
- დაბალი ფასები;
- „ქვის პური“ - 50 თეთრი.
მისმართი: ბურიის ქაჩა 17



„ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრი“ ფუნქციონირებას იწყებს

როგორც წინა ნომერში ვწერდით, საზოგადოებრივმა კავშირმა „სტუდენტურ-ახალგაზრდულმა სათათბირომ“ გამარჯვება მოიპოვა კონკურსში, რომელიც ითვალისწინებდა რეგიონში ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის დაფუძნებას. ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ჯგილობრივი პროექტების კოორდინატორმა - სოფიო კოსტავამ გაიარა სპეციალური ტრენინგ-კურსი და აპრილის დასაწყისიდან „ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენლობამ ბურიის რეგიონში უკვე დაიწყო ოფიციალური ფუნქციონირება.


„საინფორმაციო ცენტრი“ არის ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაციების შესახებ არსებული ინფორმაციის ცენტრალიზებული წყარო, ხოლო მის მთავარ მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების განვითარებისა და თვითრეალიზების ხელშეწყობა საინფორმაციო მხარდაჭერის გზით. ცენტრის ამოცანებია: ახალგაზრდულ შესაძლებლობათა შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონის ამაღლება; ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა; ახალგაზრდებისათვის კონსულტაციის გაწევა მათთვის აქტუალურ საკითხებზე; ახალგაზრდობის ჩართულობის ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობის პროცესში.

„საინფორმაციო ცენტრში“ იფუნქციონირებს ორი ძირითადი მიმართულება: **ფორმალური განათლების მიმართულებაში** მოიაზრება ინფორმაციის მოწოდება დაინტერესებულ პირებისათვის შემდეგ თემებზე: აკადემიური განათლების მიღების შესაძლებლობები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე; სასწავლო პროგრამები და სტიპენდიები.

არაფორმალური განათლების მიმართულება კონფერენციები; სემინარები; ტრენინგები; სამუშაო შეხვედრები; სასწავლო ვიზიტები; კონკურსები; მოხალისეობა (EVS); სტაჟირება; ვაკანსიები საქართველოს მასშტაბით; პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები.

რაც შეეხება ინფორმაციულ თემატიკას, ეს იქნება, მაგრამ არ შემოიფარგლება საგარანტო განაცხადების კონკურსებით; საქართველოში ახალგაზრდულ

სფეროში მომუშავე ორგანიზაციების და ახალგაზრდობის საქმეებზე პასუხისმგებელი სამთავრობო სტრუქტურები; ახალგაზრდულ სფეროში მიმდინარე მოვლენები და დონისიძიებები.



„საინფორმაციო ცენტრის“ პრეზენტაცია „სათათბიროს“ ოფისში

ამ ეტაპზე ცენტრის კოორდინატორი - სოფიო კოსტავა აწარმოებს „საინფორმაციო ცენტრის“ პრეზენტაციებს სხვადასხვა საზოგადოებრივ და სამთავრობო სტრუქტურებთან, დაინტერესებული ახალგაზრდების ჯგუფებთან. რაც შეეხება ცენტრის მიერ ინფორმაციის გავრცელების წყაროს: ეს არის ცენტრის ვებ-გვერდი www.youth.ge, „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს“ ვებ-გვერდი www.syc.ge, გურიაში ასევე გამოყენებული იქნება გახეთი „ნოტა ბენე“ და რეგიონში გამოძიებული სხვა ბეჭდური მედია.

ნებისმიერ მსურველს ასევე შეუძლია მოვიდეს „საინფორმაციო ცენტრში“, რომლის გურიაში წარმომადგენლობაც ფუნქციონირებს საზოგადოებრივი კავშირის „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს“ ბაზაზე. მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის № 3 „ცენტრი“ მუშაობს ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-18 სთ. ტელეფონები: ოფისი: (90) 90 49 13, მობილური (93) 10 03 91.

პროექტი „ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლობები რეგიონში“ ხორციელდება „საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების ფორუმის“ მიერ „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით.

ს ი ბ ყ ვ ა ე ა რ ა ვ ა მ ო ს ნ ა ვ ე ს . . .

სწავლა და მასთან დაკავშირებული პრობლემები



თუ მოსწავლეს განათლებაზე და ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე გაეცნობოდა, ნამდვილად წარმოიშვება თემები: „სასკოლო სახელმძღვანელოები“ და „სწავლის მეთოდები“.

სწავლის მეთოდები, ბავშვებისათვის მისაღები და საინტერესოა, მაგრამ სახელმძღვანელოები ყველასათვის პრობლემაა, თავისი მაღალი ფასისა და მძიმე მასის გამო. ბევრ ოჯახს არ აქვს საშუალება, თავის ბავშვს უყიდოს ასეთი ძვირადღირებული წიგნი, რის გამოც მოსწავლე მთელი სასწავლო წლის განმავლო-

ბაში ვერ ახერხებს ცოდნის მიღებას და რა თქმა უნდა, ამ თავისუფალ დროს გართობაში ატარებს. მაღალ ფასთან ერთად არის ფიზიკური შესაძლებლობების პრობლემაც; სოფლებში სკოლებს არ ჰყავთ ავტობუსები, რის გამოც საკმაოდ დიდი მანძილის გაგლა მოსწავლეებს ფეხით უხდებათ რაც, დამეთანხმებით და, საკმაოდ ძნელია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და ძალზედ აქტუალური პრობლემაა სახელმძღვანელოების მუდმივად ცვლა, ანუ მომდევნო წელს მოსწავლეებს არ შეუძლიათ გამოიყენონ წინა წელს გამოყენებული წიგნი და იძულებულნი არიან შეიძინონ ახალი.

თუკი განათლების სამინისტრო სასკოლო სახელმძღვანელოებს შეუცვლელად დატოვებს, ანუ ღარ მოხდება წიგნების მუდმივი ცვლა, სკოლის ბიბლიოთეკას საშუალება ექნება შეიძინოს წიგნები და რამდენიმე წლის განმავლობაში ასარგებლოს მოსწავლეებს. მჯერა რომ განათლების სამინისტრო გაითვალისწინებს ჩემს აზრს.

გია პატიშვილი
ძიძის საჯარო სკოლა IX

რატომ აღარ კითხულობს დღევანდელი თაობა წიგნს?!



ბავშვს წიგნის სიყვარული პატარაობიდანვე უნდა ჩამოუყალიბდეს, იგი უნდა შეეჩვიოს მასთან ურთიერთობას და უყვარდეს ის. ეს ყველაფერი გარკვეულწილად დამოკიდებულია საზოგადოებაზე, თუ როგორ გარემოში ხდება ბავშვის აღზრდა. თუკი ბავშვი თავიდანვე მიჩვეულია, მასში წიგნის სიყვარული უფრო და უფრო გაღვივდება და მივიღებთ იმ შედეგს, რაც საჭიროა, რომ მივიღოთ.

დღევანდელ თაობაში წიგნის კითხვის დონე ძალიან დაბალია. ალბათ ახალგაზრდების ერთ-ერთ ხუთედ ნაწილს თუ ექნება შეხება წიგნთან. ეს გარემოს ბრალიც არის, რადგან დღეს ძალიან რთულია მოხვდე იმ საზოგადოებაში, რომელიც დაგეგმარება

სწორი გზისაკენ სვლაში. ამიტომაც არის, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი ჩათრულია იმ წუმში, რასაც „ქუჩური ცხოვრება“ ჰქვია. როდესაც ბავშვი ერთხელ მაინც მოხვდება ასეთ გარემოში და ჩაეშვება მის მორევში, იქ უკვე ხედმეტია წიგნზე საუბარი. ამაზე მეტი ტრაგედია ალბად არაფერი არ არის, როცა ხედავ, შენ ქვეყნის მომავალი თაობა (ყოველ შემთხვევაში მისი დიდი ნაწილი) უხეშად რომ ვთქვათ, ცარიელი თავით დაიარება.

დღევანდელ ცხოვრებაში ძალიან ბევრი ისეთი რამ არსებობს, რამაც შეიძლება გაცდუნოს და მიგიზიდოს. ერთ-ერთი ასეთი მიმზიდველი და თანაც ძალიან მიმზიდველი საშუალებაა კომპიუტერი და ინტერნეტი, მისი მეშვეობით ბავშვებს ე.წ. „ონლაინ-კლასნიკში“ ყოფნა ურჩევნიათ წიგნის კითხვას, რადგან ჰგონიათ, რომ ის უფრო კარგი გასართობია. ადამიანს თუ არა აქვს გაცნობიერებული თუ რატომ სჭირდება წიგნი, ამ შემთხვევაში ზარალიდება არა მარტო ის პიროვნება არამედ ქვეყანაც.

ყველაზე კარგი სიბრძნის მიღება ხომ წიგნიდან შეიძლება?! შეიძლება იყოს რამე მასზე უკეთესი?! განა შეიძლება წიგნი რაიმეთი შეიცვალოს?!

სოფო გოგუაძე
გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა X კლასი



სოფელი ჯუმათი მდებარეობს ჩოხატაურის მთების ჯაჭვის ერთ-ერთ შტოზე, რომელიც რიონის აუზს გამოყოფს სუფსისაგან, ზღვის დონიდან დაახლოებით 1644 ფუტის სიმაღლეზე და ერთ-ერთ უმაღლეს მთას წარმოადგენს. მთების იმ ხედს, ჯუმათიდან რომ იშლება, არაფერი შეედრება. ჩრდილოეთიდან გადაჭიმულია კავკასიის მთების ჯაჭვი, რომლის ყოველი ყინულოვანი მწვერვალი მკაფიოდ ისახება ღურჯ ცაზე. ამ მთებს შორის მდებარეობს ენგურის, ხობძის, რიონის და წყალწითელას მდიდარი მუ-

ღები. აღმოსავლეთით ქართლ-იმერეთის მთებია აღმართული, სამხრეთით კი ახალციხის მთები.

სოფლის სახელწოდება წარმოიშვა მეგრული სიტყვისაგან „ჯიმა“, რაც შობას ნიშნავს. ჯუმათის მთავარ სიამაყესა და სიძველეს წარმოადგენს მთავარანგელოზის მონასტერი. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ მონასტერი X-XI საუკუნეებშია აშენებული, მაგრამ არის ვარაუდი, რომ ის უფრო ადრეული ხანის, კერძოდ კი IX საუკუნის უნდა იყოს.

არა მხოლოდ მატთანენი, არამედ მთოსი და ლეკენდებიც გვიმხელენ შორეულ საიდუმლოს ჯუმათის მთავარანგელოზის დაარსების შესახებ. პალიასტომის ტბის ადგილას თურმე უწინ ხმელეთი იყო, იქ ხალხი ცხოვრობდა და ამ ხალხს პავლიას ტომს ეძახდნენ. ერთ დღეს თურმე ხმელეთმა ძირს დაიწია, ერთ ადგილას მიწა გაირღვა, უცებ წყლი ამოვარდა და მთელი სოფელი დაფარა. მოსახლეობა მთლიანად დაიღუპა. გადარჩენილა მხოლოდ ერთი დიაკონი, რომელმაც თან წაიღო მთავარანგელოზის ხატი და აიტანა ჯუმათის მთაზე, სადაც შებენ ეკლესია აიგო.

ყოველი წლის 21 ნოემბერს ჯუმათის მონასტრის ეზოში იმართებოდა დიდი დღესასწაული – მთავარანგელოზობა, რომელზედაც მლოცველები


სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიოდნენ. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება და მას „ჯუმათობას“ უწოდებენ.

მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოველწლიურად იმართებოდა დიდი ბაზრობა – იარმარკობა, აქ მოწოდებული იყო ყავარებით გადახურული კარგები და სავაჭრო ფარდულები, სადაც უამრავი ხალხი იყრიდა თავს, ჩამოჰქონდათ სხვადასხვა სახის სქონელი.

დიდია ჯუმათის ისტორია, თავად მონასტრის ათასწლოვანი წარსულიც კი კვლავაც მოსაძიებელი, გამოსაკვლევი და ასამტყვევებელია ჯეროვნად და საფუძვლიანად.

ვინც კი ერთხელ მაინც ოდესმე სწვევია ამ საუცხოო ადგილს და შესაძლებლობა მისცემია მასზე გადმოსულიყო ამ წმინდა ადგილის მაღლი, ყველას ხიბლავდა და წარუშლელი შთაბეჭდილებით აჯილდოვებდა. არ შემიძლია ილია ჭავჭავაძის სიტყვები არ მოვიყვანო, რომელმაც დვთაბერივი სიტყვებით დააჯილდოვა ეს ადგილი: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება აქ აყვავებულია, ჩვენს სიცოცხლეს აქ უწყვეტია, ჩვენი სულის ძლიერებას აქ არუმართავს თავისი სახელოვანი დროშა.“

მარი დონდოლაძე
ჯუმათის საჯარო სკოლა X კლასი



ბურია საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. ისტორიულად იგი შემოსაზღვრული იყო ჩრდილოეთით რიონით, სამხრეთით - ჭორჩით. აღმოსავლეთით ჭოროხ-აჭარისწყლის შესართავიდან მესხეთის ქედის გაყოფებით აჭარას ესაზღვრებოდა. იგი სამ რეგიონად იყოფოდა: ზემო გურია (სუფსა-გუბაზეულის ხეობები), ქვემო გურია (მხარე ჭოროხსა და ჩოლოქს შორის) და შუა გურია (დანარჩენი ტერიტორია). ფეოდალურ ხანაში საერისთავო იყო იმერეთის სამეფოში. XV-ის მე-2 ნახევარში საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ წარმოიქმნა გურიის სამთავრო, მას გურიელები განაგებდნენ და რეზიდენცია ოზურგეთში ჰქონდათ.

გურიის სამთავრო, ფეოდალური სამთავრო დასავლეთ საქართველოში XV საუკუნის II ნახევრიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე, ისტორიული გურიის ტერიტორიაზე. წარმოიქმნა საქართველოს სამეფოს დაშლის პერიოდში, ადრინდელი გურიის საერისთავოს ტერიტორიაზე, მოიცავდა მესხეთს ქედს, ზე ზღვას, მდ. რიონსა და მდინარე ჭოროხის შესართავს შორის მდებარე ტერიტორიას. XV-XVII საუკუნეებში გურიის სამთავროში ზოგჯერ აჭარა, ჭაჩხეთის ჩრდილოეთი ნაწილი (გონიოს მხარე) და მაჭახელიც შედიოდა. გურიის სამთავროს განაგებდნენ გურიელები. მათი ძირითადი რეზიდენცია იყო ოზურგეთი.

გურიის სამთავროს დამოუკიდებლობა იწყება კახაბერ II გურიელის დროიდან, როცა მ დაუპირისპირდა ერთიანი საქართველოს სამეფოს უკანასკნელ მეფეს, გიორგი VIII-ს. ამის შემდეგ გურიის სამთავრო დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა. 1533 წელს ოდიშის მთავართან ერთად მამია I გურიელის ჯიქეთში მარცხიანი ლაშქრობის შემდეგ გურიის სამთავრო დროებით იმერეთის მეფეზე დამოკიდე-

ბული გახდა. როსტომ გურიელის (1534-1566) დროს გურიის სამთავროს შემოუერთდა აჭარა და ჭანეთი.

გურია კოლხეთის და შემდგომში ლაზიკის (გერისის) სისხლხორცეულია. ქართულ საისტორიო წყაროებში ტოპონიმი გურია VII საუკუნეში ჩნდება. როგორც ცნობილია, მურვან ერუს ურდოებს (735-738 წ.წ.) უკანდახევისას გაუვლიათ „გზა გურიისა“ (ქართული ცხოვრება 1955 წ., ძვ. 241 ჩართიშვილი 1996 ძვ.121)

ტერმინ „გურიის“ წარმოშობის შესახებ საბოლოო და დაზუსტებული მოსაზრება არ არსებობს. ქართულ მეცნიერებაში არსებობს რამდენიმე ანგარიშგასაწვეი აზრი. მაგალითად, თეოდოსიას მოსაზრებით, ტერმინი „გურია“ შესაძლებელია დასავლეთ საქართველოს-კოლხეთის გულს ნიშნავდეს. გეოგრაფიულად ისტორიული კოლხეთი გადაჭიმული იყო ლაზეთიდან დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, სწორედ მის ცენტრალურ ნაწილშია მოქცეული გურია. მეგრულად „გური“ – ნიშნავს გულს.

ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებით კი, ისევე როგორც სხვა რეგიონები, მაგალითად, ჰერეთი, რომელმაც სოფელიც იყო და მხარეც, მთაკვერ, რომელიც ციხეც იყო და მხარეც, ასევე გურიაც შესაძლებელია წარმოდგებოდეს რომელიმე დასახლებული პუნქტიდან. ნიკო ბერძენიშვილს ასეთად მიაჩნია სოფელი გურიანთა და ამავე სახელწოდების ციხე.

არსებობს სხვა მოსაზრებებიც, რომლის თანახმადაც, გურია უნდა იყოს ის სახელწოდება, რომელიც ძველი წელთ აღრიცხვის VIII საუკუნეში ურარტუს ისტორიულ წყაროებშია მოხსენიებული ქვეყანა კურიანთა. ეს ქვეყანა სწორედ დღევანდელი გურიაა. ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს, რომ ამ მხარეში „გურიანნი“, ანუ ფიცხი და ბრაზიანი ხალხი ცხოვრობდა და აქედან წამოიშვა სახელი გურია.

დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ეს არის გურიის მხარე, რომელიც მოიცავს ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონების ტერიტორიას., ამათგან მთავარი ქალაქი არის ოზურგეთი.

გაზეთ „ნობა ბენი“ გამომცემის დაფინანსების პირობები - გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ ტირაჟით 3000 ეგზემპლარი და უფასოდ ვრცელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 44 საჯარო სკოლის X და XII კლასების მოსწავლეებს შორის. კომერციული ორგანიზაციებისათვის გაზეთის ნომრის დაფინანსების ფასი შეადგენს 200 ლარს და მათ რეკლამისათვის დაეთმობა პირველი გვერდის ნახევარი. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან/და საჯარო სკოლებისათვის გაზეთის ნომრის დაფინანსების ფასი შეადგენს 200 ლარს, მათ დაეთმობათ გაზეთის ერთი გვერდი (გარდა პირველი და ბოლო გვერდებისა), სადაც მათ მიეცემათ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ ნებისმიერი ინფორმაცია. შესაძლებელია დაფინანსების სხვა პირობებიც -
დაგვიკავშირდით !!! (90) 90 43 13; (93) 90 43 13;



ახალგაზრდული კავშირი «ევროკლუბი»

„ევროკლუბების“ ისტორია პორტუგალიაში დაიწყო გასული საუკუნის 80-იან წლებში. მისი წევრები მოგზაურობდნენ ევროპაში, ეცნობოდნენ სხვადასხვა ქვეყნების კულტურასა და ტრადიციებს, აცნობდნენ მათაც თავიანთს, ამყარებდნენ ახალ კონტაქტებს და იძენდნენ მეგობრებს. 1991 წელს სკოლის „ევროკლუბები“ უკვე ოფიციალურად რეგისტრირდებოდნენ, რაშიც უდიდეს წვლილი შეიტანა ქალაქ ნოტინგემის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა და დეკანმა გორდონ ბელმა. როგორც წესი, „ევროკლუბები“ არიან ევროპულ ფასეულობების შესახებ განათლებაზე ორიენტირებული ცენტრები, რომლებიც ყალიბდებიან ცალკეული მოსწავლეებისა და მასწავლებლების სურვილის შესაბამისად. *ევროკლუბის* ფუნქციონირების მთავარი პრინციპია მოხალისეობრივი საქმიანობა და ის, რომ თავად მოსწავლეებმა (ახალგაზრდებმა) უნდა გამოიჩინონ საკუთარი ინიციატივა. ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა მათ აჩვენონ, რომ ახალგაზრდებსაც შესწევთ ძალა და უნარი თავად დაგეგმონ, განახორციელონ და შეიტანონ ცვლილებები ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რაც შეეხება ძირითად საქმიანობას, „ევროკლუბის“ მიზანია მოსწავლეების (ახალგაზრდების) ინფორმირებულობის გაზრდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების კულტურასა და ისტორიაზე, სხვადასხვა შემოქმედებითი საქმიანობის წარმართვა (კონცერტები, ლიტერატურული და მხატვრული კონკურსები) „ევროკლუბების“ საერთაშორისო ქსელში“ ჩართვა, თავიანთ ევროპულ თანატოლებთან პირდაპირი კონტაქტების დამყარება, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება და ასევე თავიანთი თემის, ქალაქის, რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა. „ევროკლუბების“ საქმიანობა არამატერიალური, მაგრამ მნიშვნელოვანი მოგების მომტანია როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლებისა და სკოლისათვისაც. ბავშვებისათვის ასეთ კლუბებში ჩართვა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მათ ეძლევათ შესაძლებლობა შეიძინონ ახალი ნაცნობები, მოახდინონ მათთან საკუთარი იდეების რეალიზება, მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია და გაიუმჯობესონ უცხო ენების ცოდნა. კლუბის შეკრება ხდება სასიამოვნო, თანასწორუფლებიან გარემოში სადაც თამაშების, აქტივობების უმრავლესობა იძლევა შესაძლებლობას, სასამოვნოდ გაატარონ დრო მოსწავლეებმა. სკოლა *ევროკლუბთან* მჭიდრო თანამშრომლობით იმაღლებს საკუთარ პრესტიჟს და შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს აიმაღლონ პროფესიული გამოცდილება. აქვე არსებობს შესაძლებლობა სხვა სკოლებთან და ასევე სხვა „ევროკლუბებთან“ თანამშრომლობისა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ხოლო ზემოხსენებული ინიციატივების განხორციელებას მოსწავლეთა მშობლებისათვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ ბავშვები თავისუფალ დროს იყენებენ საკუთარი განვითარებისათვის და მათთვის საინტერესო სფეროში იღებენ ახალ ცოდნას.

სხვადასხვა „ევროკლუბების“ არსებობის ისტორიიდან გამომდინარე, შეიძლება თამამად თქვას, რომ მის ფარგლებში განვითარებული აქტივობები ყოველთვის დადებითი შედეგების მომტანი იყო ბავშვებისთვის, სკოლისა და მშობლებისთვის, რაც იქნეს ამ სამ მხარეს შორის მნიშვნელობას თანამშრომლობის განვითარებისა და მეგობრული გარემოს შექმნისათვის.

2008 წლის მიწურულს საზოგადოებრივმა კავშირმა „სტუდენტურ-ახალგაზრდულმა სათათბირომ“, პოლონელი მოხალისეების დახმარებით სამი პილოტური „ევროკლუბი“ დააფუძნა. ოზურგეთის „ევროკლუბი“, რომელშიც გაერთიანებულია 12

წევრი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლიდან და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების მერიისა და შემოქმედის საჯარო სკოლების ბაზაზე მომუშავე. ჩვენი ინფორმაციით, ეს პირველი „ევროკლუბები“ საქართველოს სინამდვილეში.

მიუხედავად არსებობის ჯერ კიდევ პატარა ისტორიისა, „ევროკლუბების“ მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა უკვე ბევრი რამ შეცვალა. ჩვენი ძალებით განხორციელდა მერიის „ევროკლუბის“ (რომელიც დღესდღეობით ყველაზე აქტიურია) კოსმეტიკური რემონტი, შარშან პოლონელი მოხალისეების დახმარებით პატარა ტრენინგ ბანაკიც მოვაწყვეთ, ასევე სხვადასხვა სახის შეჯიბრება.

დამფუძნებელი ორგანიზაცია ცდილობს, რომ „ევროკლუბის“ წევრებს საერთაშორისო ურთიერთობები დამყარებისთვის თავიანთი თანატოლებთან. უკვე განხორციელდა სამუშაო/გაცნობითი ხასიათის ვიზიტი უკრაინაში, რომლის ფარგლებშიც ქართველმა მონაწილეებმა შეძლეს უკრაინის სასკოლო „ევროკლუბების“ მუშაობის გაცნობა (ცნობისათვის: უკრაინაში „ევროკლუბები“ პრაქტიკულად ყველა სკოლაშია და ეს საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილია). უკრაინაში სასწავლო ვიზიტისათვის მონაწილეები შერჩეული იქნა საკონკურსო წესით, მათ ესე უნდა დაეწერათ. აპრილის ბოლოს „ევროკლუბის“ წევრები გაემგზავრნენ უნგრეთში, სადაც მიმდინარეობს საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი უნგრელი, სლოვაკი, კოსოვოელი, ქართველი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების მონაწილეობით. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ მხარდაჭერილი იქნა კიდევ ერთი საერთაშორისო პროექტი და ივნისის თვეში უკვე პოლონეთში ეწეობა საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი. აქაც საქართველო წარდგენილი იქნება 5 ოზურგეთელი „ევროკლუბელით“, რომელთა შერჩევაც კვლავ საკონკურსო წესით მოხდება. რაც შეეხება თავად „ევროკლუბებს“, მართალია ისინი „სტუდენტურ-ახალგაზრდულმა სათათბირომ“ დააფუძნა, მაგრამ მათი უფრო მეტი ეფექტურობის მიზნით დაგეგმილია „ევროკლუბების“ ოფიციალურად დარეგისტრირება ახალგაზრდული კავშირის სახით.

ამ ეტაპზე, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ და მხოლოდ სამი „ევროკლუბი“ ფუნქციონირებს, რადგან მოცემული დროისათვის ორგანიზაციას არა აქვს იმდენი მატერიალური საშუალება და ადამიანური რესურსიც, რომ მეტი დააფუძნოს, რადგანაც „ევროკლუბები“ არ არის რაიმე პროექტის ფარგლებში ფინანსურად მხარდაჭერილი. ორგანიზაცია ცდილობს, რომ დააინტერესოს სხვადასხვა ფონდები „ევროკლუბების“ განვითარებით – ვნახოთ, მომავალი წინაა.

ძალიან სამწუხარო ფაქტია, რომ ზოგიერთი პედაგოგის მიერ „ევროკლუბები“ არასწორად იქნა აღქმული, და მათ, ზგ შემთხვევაში, მშობლებზეც მოახდინეს ნეგატიური გავლენა. „ევროკლუბების“ დამფუძნებელი ორგანიზაციის, „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს“ სახელით მსურს აღვნიშნო, რომ ჩვენ არ ჩავვიფიქრებია და მიზნად არ დავვისახავს როგორც მოსწავლეთა თვითმმართველობის ალტერნატივა, ასევე არც რელიგიის გაკვეთილებს ვატარებთ შეხვედრებზე და არც რომელიმე პოლიტიკური პარტიის სახსრებით ფინანსდებით. . . და „ევროკლუბების“ საქმიანობა არ ხორციელდება რაიმე პროექტის ფარგლებში, რომელიმე ფონდის მიერ, ეს შიდა ორგანიზაციული დაფინანსებით ხდება. უბრალოდ, ჩვენი სურვილი იყო მხოლოდ და მხოლოდ, რომ ბავშვებისთვის მიგვეცა მეტი შესაძლებლობა და არჩევანის თავისუფლება, რომ თავად დაგეგმათ და განეხორციელებინათ მათთვის საინტერესო აქტივობები და თუ ამაში სკოლის ადმინისტრაცია, მშობლები, ავტოლობრივი თვითმმართველობა და ბიზნეს სტრუქტურები დაგვეხმარებიან, პირიქით მივესალმებით.

სოფიო კოსტავა
„სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს“
ადგილობრივი პროგრამების კოორდინატორი,
„ევროკლუბების“ კურატორი



გურიის ინტელექტ ალუბი რა? სად? როდის?

შარშან „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს“ ინიციატივით ოზურგეთში დაფუძნდა „გურიის ინტელექტ კლუბი: რა? სად? როდის?“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლე-ახალგაზრდებში ინტელექტუალური თამაშების ფართოდ დანერგვას, პოპულარიზაციას და განვითარებას, მათ მომზადებას სხვადასხვა დონისა და სახეობის ინტელექტუალურ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

ჩვენთან ერთად „კლუბის“ დამფუძნებლებია: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი; ოზურგეთის პროფესიული სწავლების ცენტრი და დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია „გურია“.

დაფუძნებისთანავე მათში „კლუბმა“ ჩაატარა პირველი საცდელი თამაშები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის. მონაწილეობა მიიღო სულ 20 საჯარო სკოლის გუნდმა, ხოლო გამარჯვებული გახდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის № 1 საჯარო სკოლის გუნდი *ევრესტი*. ნოემბერში - „კლუბმა“ ჩაატარა გურიის დია ჩემპიონატი სკოლის მოსწავლეთა შორის თამაშში „ბრეინ-რინგი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სულ 17 გუნდ-



გუნდი „გურია“

მა, ხოლო გამარჯვებული გახდა გუნდი *ლოგოსი*. „გურიის ინტელექტ კლუბის: რა? სად? როდის?“ ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული იქნა ოზურგეთის ნაკრები გუნდის წევრები: შარშანდევ გიორგი, ჟღენტი თამაზ, ჯაბუა შოთა, ქარჩავა ვაკო, სიამაშვილი დავით, დონაძე შალვა, ხმელიძე ნინო, სადრაძე ბანი, ესაძე სალომე ერკომაშვილი კოტე, საბაშვილი ნიკა, მაისურაძე მიშოკო, დლიძე მარის. ისინი ამ ეტაპზე მონაწილეობას იღებენ თბილისის ახალგაზრდული ლიგის ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“ ჩემპიონატში. გურიის წარდგენილი იყო ორი გუნდით: *გურია* - კაპიტანი ბანი სადრაძე და *ფესტინა ლენტი* - კაპიტანი თამაზ ჟღენტი. ჩემპიონატში სულ 28 გუნდი ასპარეზობს და რეგიონებიდან მხოლოდ ჩვენი 2 გუნდია და როგორც ჩემპიონატების ორგანიზატორებმა გვითხრეს, ეს პრველად მოხდა მის ისტორიაში. ჩემპიონატი 5 ეტაპიანი



გუნდი „ფესტინა ლენტი“

იყო და ის აპრილის ბოლოს დასრულდა. ვსარგებლობთ შემთხვევით და გვინდა მადლობა გადავუხადოთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებობას და პირადად გამგებელს - ავთანდილ მექვაბიშვილს, მათი მხარდაჭერით მოხერხდა გუნდების მზავრობის სამეურ დაფინანსება. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ შემდეგ ვეღარ შევძელით დაფინანსების მოპოვება - მსგავსი, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო პრცენდენტის დაფინანსება არ აღმოჩნდა ოზურგეთის ბიზნეს სტრუქტურებისათვის საინტერესო - ეს მართლაც დასანანი! ერთი გზის ხარჯების დაფარვა თავად ბავშვებმა შეძლეს საკუთარი რესურსებით. იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში გურიის ბიზნეს სტრუქტურები უფრო დაინტერესდებიან ახალგაზრდების მხარდაჭერით, რადგან ეს მათთვის უდიდესი რეკლამაც იქნება.

გურიის ინტელექტ კლუბი: რა? სად? როდის?

„ნობა ბენე“ რომ არა...

ინტერვიუ ლიკა ჯინჭარაძესთან, ვაიჯვრის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე
ლიკა, რა კონკურსში გაიმარჯვეთ? „ენერგოეფექტურობა საქართველოს თემებისათვის“.
საიდან მიიღეთ ინფორმაცია ამ კონკურსის შესახებ? კონკურსის შესახებ წავიკითხე მოსწავლეთა გაზეთ „ნობა-ბენეში“ და „ნობა-ბენე“ რომ არა, ვერც გავიგებდი ინფორმაციას ამ კონკურსის შესახებ და არ მომეცემოდა შესაძლებლობა მასში მონაწილეობის. სწორედ გაზეთის წაკითხვის შემდეგ გამიჩინდა იდეა და სურვილი, მონაწილეობა მიმეღო ამ კონკურსში.
რა თემაზე იყო ნახატი? ნახატი იყო ელექტროპესთან დაკავშირებით და თან ახლდა ჩანახატი და ლექსი.
რამდენი დრო დაგჭირდა ნახატის მოსამზადებლად? სულ 3 დღე. მე ვფიქრობ,

რომ თუ ადამიანს გააჩნია მიზნისკენ სწრაფვა, ყველაფერს იოლად მიადევს. **როდის გააგზავნეთ თემა და როდის გაიგეთ გამარჯვების შესახებ?** დეკემბრის ბოლოს გავაგზავნე და 26 მარტს იყო დაჯილდოვება შერატონ მეტეხი პალასში, სადაც იყვნენ ჩამოსული უცხოელი სტუმრებიც.
თუ გაქვს ინფორმაცია, სულ რამდენი ნახატი მონაწილეობდა კონკურსში? კონკურსში სულ მონაწილეობდა 184 ნახატი, სიდანაც შეირჩა 3 ნახატი, ხოლო პირველი ადგილი ჩემმა ნამუშევარმა აიღო.
თუ საიდუმლო არაა, რა პრიზები გადაეცათ გამარჯვებულებს? მესამე ადგილზე გასულს გადაეცა 200 ლლარი, მეორე ადგილის მფლობელს 300 ლლარი, ხოლო პირველი ადგილი დაჯილდოვდა 500 ლლარით.
და ბოლოს, ინტერვიუს დასასრულს რაიმეს ხომ არ დაამატებდით? მინდა მადლობა გადავუხადო პროექტის ორგანიზატორებს, და განსაკუთრებული მადლობა გაზეთ „ნობა ბენეს“, ვინაიდან ის გახდა ჩემი წარმატების წყარო.

პედაგოგებისათვის პროგრამა „პესტალოცის“ ხონაურსები

ინფორმაციული წიგნიერების ხელშეწყობა ევროპულ საკლასო

სკოლის კულტურა - ღირებულებები და იდენტობა

ოთახებში - როგორ ვასწავლოთ Google თარგებს -

ბამოწმები მასწავლებლებსა და ბანანათმშენებლებს

დრო: 14-17 სექტემბერი, 2010 წ.

ადგილი: ბერგენი, ნორვეგია

სამუშაო ენა: ინგლისური

სამიზნე ჯგუფი: მასწავლებლები, სკოლის ბიბლიოთეკარები, მასწავლებელთა ტრენინგები და სხვები

ტრენინგის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

ბერგენის ტრენინგი-სემინარი დაეფუძნება იოჰან პენრიხ (1746-1827) პესტალოცის პოლიტიკურ მიდგომასა და პედაგოგიურ იდეებს. პესტალოცის შეხედულებების თანახმად, კარგი მასწავლებელი უნდა დაეხმაროს თავის მოსწავლეებს, განავითაროს საკუთარი პოტენციალი და ხელი შეუწყოს მათთვის ეფექტური სასწავლო გარემოს ფორმირებას. ამ მიზნის მისაღწევად, სკოლას უნდა აქონდეს ფუნქციური სასკოლო ბიბლიოთეკა და მოტივირებული პერსონალი. სემინარი განიხილავს, რა როლი ენიჭება სასკოლო ბიბლიოთეკას ინფორმაციული წიგნიერების განვითარებაში და როგორ შეიძლება ამ რესურსის ეფექტური გამოყენება.

ინფორმაციული წიგნიერება გულისხმობს იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც აუცილებელია საჭირო ინფორმაციის იდენტიფიცირების, მოძიების, და ეფექტურად გამოყენებისათვის სემინარის განმავლობაში მონაწილეები განიხილავენ, რა გამოწვევების წინაშე დგანან მასწავლებლები სკოლებში ინფორმაციული წიგნიერების დანერგვისას და განიხილავენ აღნიშნულ საკითხს სამი პერსპექტივის გათვალისწინებით: ა) ევროპული პერსპექტივა; ბ) ნორვეგიის ხედვა და გ) ლოკალური, ბერგენის ოლქის პერსპექტივა.

რამდენადაც სემინარის ფორმატი შერეულია (workშოპები და პრეზენტაციები), საუკეთესო პრაქტიკა და სხვადასხვა მაგალიტები წარმოდგენილი იქნება როგორც მასპინძელი ქვეყნის, ასევე მოწვეული მონაწილეებისაგან. ტრენინგის ბოლოს ყველა მონაწილემ უნდა წარმოადგინოს მოკლე მიმოხილვა, რომელიც ასახავს მის ქვეყანაში ინფორმაციული წიგნიერების მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტს.

განაცხადის ფორმის საქართველოს კოორდინატორთან წარდგენის ბოლო ვადა: 28 ივლისი, 2010 წელი.

დრო: 3-4 ოქტომბერი, 2010 წ.

ადგილი: ველსი, ავსტრია

სამუშაო ენა: ინგლისური

სამიზნე ჯგუფი: დაწვებითი და საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლები და სკოლის დირექტორები

ტრენინგის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

ტრენინგის მიზანია, განიხილოს, რა რელიეფი და სექულარულ ღირებულებებს ეყრდნობა სკოლის კულტურა სხვადასხვა ქვეყნებში.

ტრენინგის შედეგად მონაწილეები გაიგებენ:

- როგორ დაუკავშირონ ერთმანეთს ისეთი საკითხები როგორცაა: ღირებულებები, ეთიკა, რელიგია და იდეოლოგია?
- როგორ შეიძლება ევროპული სახელმწიფოების ღირებულებებისა და ეთიკის ასახვა განათლებაში?
- როგორ წარმართოს დიალოგი მშობლებთან, რომლებსაც განსხვავებული კულტურული და რელიგიური წარმოდგენები აქვთ ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით?
- როგორ უნდა აისახოს კულტურული განსხვავებები (მაგალითად ენობრივი) სასწავლო გარემოში?

განაცხადის ფორმის საქართველოს კოორდინატორთან წარდგენის ბოლო ვადა: 30 აგვისტო, 2010 წელი.

ტრენინგების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად ან/და განაცხადის ფორმის მისაღებად დაუკავშირდით „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს“

ტელ: 822 959981

ვებ-გვერდი: www.tpd.c.ge

ელ-ფოსტა: nrevishvili@tpdc.ge

საკონტაქტო პირი: ნინო რევიშვილი

ტრენინგების მონაწილეებისათვის მგზავრობისა და სასტუმრო ხარჯებს ფარავს ევროსაბჭო.

კონკურსი 'ნოვატორი'

კონკურსი ცხადდება პორტალის www.education.ge, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის, არასამთავრობო, საზოგადოებრივი და სპონსორი ორგანიზაციების ინიციატივით, რომლებიც ეთარსებენ და სარეაქციო-შემფასებელ კოლეგიებთან ერთად უზრუნველყოფენ მის ჩატარებას. საინფორმაციო მხარდაჭერას ახორციელებენ - პორტალი www.education.ge, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უწყებრივი საიტები, განათლების საკითხებზე მომუშავე პრესა და ელექტრონული მასმედია. კონკურსის ჩატარების ვადები: 2010 წლის 20 თებერვალი - 20 ივნისი.

კონკურსის დანიშნულება და მიზანი:

ფართო საზოგადოებას თვალნათლივ დავანახოთ თუ რა ინტელექტის, სულიერი და ზნეობრივი სიმდიდრის მატარებელია ჩვენი ქვეყნის მასწავლებლობა და ჯეროვნად დავაფასოთ ახალგაზრდა თაობის განათლებასა და აღზრდაში მისი როლი და ამაგი. ხელი შეუწყვით: სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებას; პედაგოგ-ნოვატორთა გამოცდილების გამოვლენას, ღიარებასა და მხარდაჭერას; აქტუალური და ორიგინალური მეთოდისა, ინტერაქტიული და ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენების წარმატებული მაგალითების თაობაზე ფართო პედაგოგიური საზოგადოების ინფორმირებას; ინოვაციური იდეების ხელმისაწვდომი ელექტრონული ბაზის ჩამოყალიბებას; ინოვაციური სივრცის შექმნას, რომელიც გააერთიანებს პედაგოგთა ძალისხმევას სწავლისა და აღზრდის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში; მასწავლებელთა შორის ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთ გაზიარებას, აქტუალური

პრობლემებისადმი მეცნიერთა და სპეციალისტთა ყურადღების მიპყრობას.

კონკურსის მონაწილეები:

კონკურსში ნებაყოფლობითი მონაწილეობა შეიძლება მიიღონ ნებისმიერი სასწავლო დაწესებულების პედაგოგმა, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის დარგების სპეციალისტმა, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტმა და ავტორთა ჯგუფმა.

კონკურსის ნომინაციები:

- „სწავლებაში ინტერაქტიული მეთოდების გამოყენების სასწავლო- მეთოდური უზრუნველყოფა“
- „ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება და მისი სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა“
- „გასვლითი გაკვეთილის ჩატარების გამოცდილება და რეკომენდაციები“
- „სასწავლო თვალსაჩინოებისა და მოწყობილობის ეფექტური გამოყენება“
- „მოსწავლის თავისუფალი დრო და მისი ორგანიზების პრაქტიკული გამოცდილება“

რა სახის ნამუშევარი შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

პედაგოგიური კვლევის ან პრაქტიკული დაკვირვებისა და გამოცდილების აღწერილობა; სასწავლო-კვლევითი პროექტი; მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელო; მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები; საავტორო პროგრამა; სასწავლო-მეთოდური კომპლექტი; შემსწავლელი კომპიუტერული პროგრამა; ამოცანათა კრებული; შემსწავლელი და შემფასებელი ტესტები; დაბოროტებული სამუშაოების ციკლი; დიდაქტიკური მასალების პაკეტი; მეცადინეობის ჩატარების სცენარები; სასწავლო აუდიო და ვიდეო მასალები და სხვა. წარმოდგენილი ნამუშევარი შეიძლება ასახავდეს როგორც კონკრეტული საგნის სფეროს, აგრეთვე იყოს ინტეგრირებული. თვითოეულ მონაწილესა თუ ჯგუფს საკონკურსოდ შეუძლია წარმოადგინოს რამდენიმე ნამუშევარი.

საკონკურსო ნამუშევრების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით: აქტუალობა, გამოყენებადობა, შედეგიანობა.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენია: კონკურსის მონაწილის ანკეტა-განაცხადი; საკონკურსო ნამუშევრის ანოტაცია (თეზისები); საკონკურსო ნამუშევრების სრული ვერსია. აღნიშნული მასალები პორტალზე გამოქვეყნებისათვის წარმოსადგენია: 2010 წლის 20 დან - 26 აპრილამდე, ელექტრონულ მისამართზე: guest@education.ge

მონაწილეობის პირობებისა და მოთხოვნების გაცნობას შესძლებთ კონკურსის დებულებაში, რომელიც გამოქვეყნდება 2010 წლის 24 თებერვალს პორტალზე www.education.ge

კონკურსის ორგანიზაციისა და ჩატარების თაობაზე შეგიძლიათ მიმართოთ:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს: tchkadua@mes.gov.ge - თეონა ჭკადუა, ტელ.: 43-88-19. Education.ge-ს: alexanderejibadze@gmail.com -ალექსანდრე ეჯიბაძე, ტელ.: 38-05-82.

კონკურსის ინიციატორებს ერთი მიზანი გვაქვს: დავაფასოთ პედაგოგების შრომა და დავეხმაროთ მათ.

ძვირფასო პედაგოგებო, ამ ეტაპზე ყველაფერი უკვე თქვენზე დამოკიდებულია. გვაუწყეთ თქვენი განწყობა და დამოკიდებულება, მხარი დაუჭირეთ ამ ინიციატივას, ჩაერთეთ შემოთავაზებული წინადადებების რეალიზაციაში. ეს ხომ თქვენი და თქვენთვის ჩაფიქრებული კონკურსია. გაეთავისოთ და ის წარმატებულად ჩატარდება. ველით თქვენ აქტიურ მონაწილეობას!

კონკურსი „მე ომბუდსმენი 2010“

„მე - ომბუდსმენი“ არის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სახალხო დამცველის მიერ ორგანიზებული კონკურსი 13-18 წლის ახალგაზრდებისთვის (დაბადებულებისათვის 1991 წლის 1 მაისიდან 1997 წლის 1 მაისამდე), რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან.

კონკურსი ტარდება 2-2 მოსწავლისგან შექმნილი გუნდები-სათვის. თუმცა, თითოეულ გუნდს უფლება აქვს ჰქავდეს 1 სარეზერვო მეთამაშე იმ შემთხვევაში, თუ გუნდის ძირითადი წევრი, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ ახერხებს მონაწილეობას მომდევნო რაუნდში.

გამომცემელი: საზოგადოებრივი კავშირი „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო“

რედაქტორი: სოფიო გორდელაძე

3500, ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის 3, ტ. (90) 90 43 13

notabene@syc.ge

www.syc.ge

დაბეჭდილია ი.მ. „რუბენ ჭელიძის“ სტამბაში

ტირაჟი: 3 000 ეგზემპლარი, ვრცელდება უფასოდ

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა გუნდებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ ვებ-გვერდზე www.ombudsman.ge ასევე გუნდის წევრებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი ელ. ფოსტა.

კონკურსი „მე ომბუდსმენი - 2010“ სამი რაუნდისგან შედგება:

პირველი რაუნდი - ადამიანის უფლებათა სფეროში ზოგად განათლებაზე დაფუძნებულ კითხვებს მოიცავს და ჩატარდება ინტერნეტით სახალხო დამცველის ვებ-გვერდის საშუალებით.

მეორე რაუნდი პირველის მსგავსად, ადამიანის უფლებათა სფეროში ზოგად განათლებაზეა აგებული, მაგრამ შეკითხვები შედარებით რთულია და მოითხოვს ასევე ტესტურ რეჟიმში პასუხების გაცემას. მესამე რაუნდში გადასვლის უფლებას მოიპოვებს ტესტური შეკითხვების პასუხებით ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე 10 გუნდი.

მესამე რაუნდი - ფინალურია და ჩატარდება სახალხო დამცველის ოფისში, თბილისში. მესამე რაუნდის მონაწილე 10 გუნდი წინასწარ დათქმულ დროს გამოცხადდება სახალხო დამცველის თბილისის ოფისში. გუნდები შემთხვევითი ამორჩევის წესით მიიღებენ დალუქულ კონვერტებს, რომელშიც მოცემული იქნება წერილობითი დავალება - სამოღებლო ამოცანა ადამიანის უფლებათა სფეროში, რომელიც წერილობითი დასკვნით პასუხის გაცემას მოითხოვს. გუნდებს მიეცემათ 3 საათი, რათა სახალხო დამცველის ოფისიდან გაუსვლელად გასცენ პასუხი მიღებულ ამოცანას. გუნდები პასუხებზე მუშაობის პერიოდში უზრუნველყოფილი იქნებიან საკვებით. მათ საშუალება ექნებათ გამოიყენონ სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა.

3 გამარჯვებულ გუნდს - 1, 2 და 3 ადგილების მფლობელებს, გადაეცემათ კონკურსის ფარგლებში დაწესებული სპეციალური პრიზები. საკონკურსო პროგრამა ასევე ფარავს ფინალში გასულ მონაწილეთა კვების, ასევე მგზავრობის და დამისთვის ხარჯებს (მოთხოვნის შემთხვევაში რეგიონიდან მონაწილე გამარჯვებული გუნდებისთვის).

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.ombudsman.ge